

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი



მოგესალმებით
და გაგაცნობთ
საქართველოს
ზრდასრულთა განათლების
ქსელის (GAEN) მიერ
მიმდინარე წლის ბოლო
პერიოდში გაწეული მუშაობისა და
საინტერესო მოვლენების შესახებ

vhs
DVV International

N2
2020

ნომერშია:

- ტრენინგი „ზრდასრულთა განათლების ცენტრის ადმინისტრირება და მართვა“ - 1
- წლის შემაჯამებელი ღონისძიება „ზრდასრულთა განათლების საუკეთესონი - 2020“ - 1
- Dv.v.gaen.org.ge სასურველი კურსების მოძიებაში დაგეხმარებათ - 5
- ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომები“ - 6
- ქსელის წევრი ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრებში ადმინისტრაციული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების შესაბამისად გადამზადდება


„ზრდასრულთა განათლების ცენტრის აღმშენებლობა და მართვა“

2020 წლის 28-30
სექტემბერს საქარ-
თველოს ზრდასრულ-
თა განათლების ქსელის
წევრი ცენტრების ადმინი-
სტრაციის თანამშრომლებისთ-
ვის ონლაინ რეჟიმში სამდღიანი
ტრენინგი ჩატარდა ცენტრების
ადმინისტრირებისა და მართვის სა-
კითხზე.

ტრენინგში ზრდასრულთა/სათემო
განათლების ცენტრების 14 თანამშრო-
მელი მონაწილეობდა და მას გამოცდი-
ლი ტრენერი პავლე თვალთაშვილი უძ-
ღებოდა.

ქსელის წევრი ორგანიზაციების ინს-
ტიტუციური გაძლიერება მნიშვნელო-
ვანი კომპონენტია GAEN-ის სტრატე-
გიული მიზნების მიღწევისა და წევრი
ორგანიზაციების მუშაობის ეფექტი-
ანობის უზრუნველყოფისთვის. შესა-
ბამისად, ცენტრების ადმინისტრაციის
წევრებიც ორგანიზაციის ადმინისტრი-
რებისა და მენეჯმენტის ძირითად სა-
კითხებში გადამზადდნენ. მონაწილეები
აქტიურად ჩაერთვნენ სესიებში, რო-
გორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ
დავალებებში.

მონაწილეებმა პრაქტიკულად გაიარეს ის საკითხები, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ორ-
განიზაციაში მუშაობისას სჭირდებათ: ორგანიგრამა, ფუნქციების განაწილება, დოკუმენტების
მონესრიგება, სიებისა და ჟურნალების შედგენა, დოკუმენტების დაარქივება, ანგარიშებისთვის
მასალების შეგროვება, სოციალური ქსელის მართვა, სტატისტიკის წარმოება, ოფიციალური
წერილების მომზადება, პრეზენტაციის ჩატარება და ცენტრების ადმინისტრირებისთვის სხვა
საჭირო თემები.



ზრდასრულთა განათლების საუკეთესონი - 2020

უკვე წლებია, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი/GAEN ყოველი წლის ბოლოს
ტრადიციულად მართავს შემაჯამებელ ღონისძიებას, რომელზეც განვლილი წლის განმავლობაში
მიღწეულ შედეგებსა და წარმატებულ პირებს წარმოაჩენს. ტრადიცია წელსაც არ დაირღვა და
შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, მართალია, ჩვეული საზეიმო ღონისძიებით ვერა, მაგრამ
Zoom-ის საშუალებით, დისტანციურად, მაინც საზეიმოდ და საინტერესოდ ჩატარდა 8 დეკემ-
ბერს. ონლაინ შეხვედრაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან 90-მდე წარმომადგენელი მონაწი-
ლეობდა, რომელთა შორის იყვნენ DVV International-ის საქართველოს ოფისის თანამშრომლები,
ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის თორმეტივე წევრი ცენტრის თანამშ-


რომლები, ბენეფიციარები, ტრენერები, პარტნიორი მუნიციპალიტეტების მერიებისა და საკრებულოების წარმომადგენლები, მათ შორის: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი, ხონის მუნიციპალიტეტის მერი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე.

შემაჯამებელი ღონისძიება ქსელის დირექტორმა, ნინო ბაბალაშვილმა გახსნა. ქალბატონმა ნინომ 2020 წლის განმავლობაში ქსელის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებზე ისაუბრა და ყურადღება ზრდასრულთა განათლების ადვოკატირების, ლობირებისა და პოპულარიზაციის როლზე გაამახვილა; განსაკუთრებით გამოყო, ასევე, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის წევრ 9 ცენტრთან თანამშრომლობით, პროფესიული მომზადების პროგრამის „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა“ განხორციელების უფლების მოპოვება, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია ქსელისთვის ზრდასრულთა განათლების აღიარების საქმეში. ცენტრების ბენეფიციარებს ექნებათ შესაძლებლობა პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში მიიღონ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით კი ქსელის ხელმძღვანელმა აღნიშნა,

რომ **GAEN** კვლავ გააგრძელებს წევრი ცენტრების ინსტიტუციურ განვითარებას, სტანდარტიზაციას, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვასა და მხარდაჭერას, საერთაშორისო პარტნიორობასა და ზრდასრულთა განათლების კონცეფციის პოპულარიზაციას.

ღონისძიების მონაწილეებს შემდეგ **DVV International**-ის საქართველოს ოფისის დირექტორი **ლალი სანთელაძე** მიესალმა. მან მადლობა გადაუხადა ქსელის წევრ ცენტრებს 2020 წლის სირთულეების მიუხედავად განეული ნაყოფიერი მუშაობისთვის და ისაუბრა იმ შესაძლებლობებზე, რომელიც სწავლების ონლაინ რეჟიმმა ცენტრებსა და ბენეფიციარებს მისცა. ქალბატონი ლალის თქმით, ონლაინ სწავლებაში საზღვარგარეთ წასული საქართველოს მოქალაქეებიც ჩაერთნენ,

ხოლო ცენტრებმა სულ რაღაც 2-3 კვირაში მოახერხეს დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა.



ღონისძიების ყველაზე ემოციური ნაწილი კი, როგორც ყოველთვის, გახლდათ ზრდასრულთა განათლებაში წლის საუკეთესოთა დაჯილდოება, რომელიც ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ახლად შექმნილი ბენდის „კიდო ბანი“ სიმღერების თანხლებით წარიმართა. ტრადიციულ ნომინაციებს: „წლის საუკეთესო ცენტრი“, „საუკე-

თესო ბენეფიციარი“ და „საუკეთესო ტრენერი“, ამჯერად კიდევ ერთი ნომინაცია დაემატა - „საუკეთესო პარტნიორი“, რომელიც ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის პარტნიორმა, ლაგოდების მუნიციპალიტეტმა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ლაგოდების ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ახალგაზრდულ პროგრამასთან და ისინი ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ ახალგაზრდულ აქტივობებსა და ტრენინგებს. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ახალგაზრდებისთვის განხორციელებული „პროექტის წერის“ ტრენინგები და სათემო ინიციატივებზე კონსულტირება პროექტების მომზადების პროცესში. საპროექტო განაცხადების მომზადების შემდგომ, ახალგაზრდებმა 6 საპროექტო ინიციატივა წარუდგინეს მუნიციპალიტეტის მერს, რომელთაგან 5 დაფინანსდა. ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა, რომელიც დაჯილდოების ღონისძიებაში მონაწილეობდა, მადლობა

გადაიხადა მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული თანადგომის დაფასებისთვის და ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

2020 წლის „საუკეთესო ბენეფიციარი“ სენაკის სათემო განათლების ცენტრის ბენეფიციარი ვენერა ლიპარტია გახდა. ქალბატონი ვენერა 15კმ.-ით დაშორებული სოფლიდან, ნოქალაქევიდან, დადის ცენტრში, თუმცა მუდამ ხალისიანი და ენერგიულია და წარმატების მაგალითს აძლევს თანასოფლელებს. მას აქვს საოჯახო მეურნეობა, რომლის ადმინისტრირებასაც ცენტრში ნასწავლი სხვადასხვა კურსის შედეგად მიღებული ცოდნით წარმატებით უძღვება. საკუთარი მეურნეობის ნაწარმს ყიდის ონლაინ და ამ პანდემიის პირობებში 2 თანასოფელელიც დაასაქმა.

„საუკეთესო ტრენერად“ ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ტრენერი თამარ თუმანიშვილი დასახელდა. თამარს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცენტრის განვითარებაში, აქტიურად მონაწილეობს ცენტრის საქმიანობის ყოველდღიურ ადმინისტრირებაშიც და მისი დამსახურებით ახალგაზრდული კომპონენტი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მიმართულებაა მათ ცენტრში. იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საპროექტო წინანადების შემუშავებაში და ცენტრის ბაზაზე მოქმედ ხის საწარმოში მომზადებული პროდუქტების პოპულარიზაციასაც კურირებს სოც. მედიაში.

2020 წლის „საუკეთესო ცენტრის“ ტიტული კი ჯვარის სათემო განათლების ცენტრმა მოიპოვა. მან 2 კვირაში სრულად შეძლო სერვისებისა და სასწავლო პროგრამების ონლაინ მიწოდება ბენეფიციარებისთვის და ორგანიზაციის საქმიანობის შეუფერხებელი ონლაინ ფუნქციონირება. წლის განმავლობაში ცენტრში ბევრი საინტერესო კურსი, ტრენინგი და აქტივობა ჩატარდა. ამავდროულად, იგი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სათემო პროექტში, რითაც ადგილობრვ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს (იძულებით გადაადგილებული პირები) აძლიერებდა.

ამ ნომინაციას კიდევ ერთი რჩეული ჰყავდა - ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, რომელიც 2020 წლის ყველაზე კრეატიულ ცენტრად



დასახელდა. ცენტრმა წლის განმავლობაში უამრავი უნიკალური ხელნაკეთი ნივთი შექმნა და მათი გამოფენა-გაყიდვები მოაწყო. ცენტრში, ასევე, დაარსდა მუსიკალური ბენდი „კიდო ბანი“, რომელმაც ორიგინალური შესრულებით უკვე გააცნო თავი საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიება ონლაინ წარიმართა, ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ორგანიზებით მაინც შესაძლებელი გახდა წლის განმავლობაში ცენტრებში შექმნილი ხელნაკეთი ნამუშევრების ჩვენება და „კიდო ბანის“ მიერ შესრულებული მელოდიების მოსმენა, რამაც საზეიმო ელფერი და განწყობა შესძინა ღონისძიებას, რომლის მონაწილეებიც სასიამოვნო განწყობით, უკეთესი მომავლის იმედითა და ახალი გეგმებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

რიტა ბაინდურაშვილი
ტაბუღა, 16.12.2020

Dvv.gaen.org.ge - სასურველი კურსების მოძიებაში დაბეხმარებით

რადგან დღევანდელ რეალობაში ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა, ფაქტობრივად, მთლიანად ელექტრონულ სივრცეზე გადაენყო, ინტერნეტ მომსახურებამ კიდევ უფრო მეტი ფასი და მნიშვნელობა შეიძინა. ამ ფორმით დღეს თითქმის ყველანაირი სერვისის მიღებაა შესაძლებელი და ადამიანებს სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ არა მხოლოდ დაგეგმონ, არამედ მოიძიონ და განახორციელონ მათთვის სასურველი სერვისი. Dvv.gaen.org.ge ის ვებ პორტალია, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობი საგანმანათლებლო კურსების მოძიებაში ეხმარება, ხოლო განათლების პროვაიდერ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, თავიანთი კურსების შესახებ უფასოდ ატვირთონ ინფორმაცია და საკუთარი მომსახურება შესთავაზონ მოსახლეობას. DVV International საქართველოს ოფისის ორგანიზებითა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და



ძიება
დაამატე ორგანიზაცია

როგორც წამყვანი ორგანიზაცია ზრდასრულთა განათლების განვითარების სფეროში, DVV International ხელს უწყობს მდგრადი განათლების სისტემის განვითარებას 35-ზე მეტ საერთაშორისო ადგილობრივ პარტნიორთან ერთად. Deutscher Volkshochschul-Verband e.V. (DVV), როგორც გერმანიის ზრდასრულთა განათლების ასოციაციის წევრი, ეს ინსტიტუტი, გერმანიაში არსებულ 930-მდე განათლების ცენტრს შორის (Volkshochschulen – VHS) გამოჩენილია. DVV International-ის საქართველოს ოფისი 2002 წლიდან მუშაობს. DVV International-ის მიზანია საქართველოში ზრდასრულთა არაფორმალური განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება.

საქართველოს რუკა | მოძებნე რეგიონის მიწვევით

ფილტრი:

რეგიონის მოსანიშნად დააჭირეთ რუკას



რეგიონი ▾

მუნიციპალიტეტი ▾

ყველა ორგანიზაცია

განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) ფინანსური მხარდაჭერით იგი ივლისში შეიქმნა და დღეისათვის 360-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს. ვებპორტალზე ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია როგორც რეგიონების, მუნიციპალიტეტების, ასევე საგანმანათლებლო კურსების ტიპისა და ორგანიზაციების მიხედვით, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს, სასურველი ინფორმაცია ოპერატიულად და ამომწურავად მოიპოვონ. ვებგვერდი ორენოვანია - ქართული და ინგლისური, აქვს საძიებო და განვითარების ფანჯარა, სადაც როგორც სასურველი კურსების მოძიება, ისე შეთავაზებაა შესაძლებელი. გვერდის ბოლოს კი მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელს GAEN, სადაც მათ კვალიფიციურად დაეხმარებიან. ვებგვერდის შექმნასა და ტექნიკურ გამართულობაზე კომპანია Omedia ზრუნავს.


აღნიშნულ ვებპორტალზე ყველა ტიპის საგანმანათლებლო კურსთან ერთად, არაფორმალური და ზრდასრულთა განათლების შესახებაც მიიღებთ ინფორმაციას; შეიტყობთ ზრდასრულთა სათემო განათლების ცენტრების შესახებ, რომლებიც უკვე თორმეტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ვებგვერდზე თავმოყრილია და დეტალურადაა მოცემული, სად, რომელ რეგიონში და რომელ ცენტრში რამდენი და რა სახის კურსები ტარდება, რომელი მიმდინარეობს ამჟამად, რა ვადითა და პირობებით. რა თქმა უნდა, აქვეა მოცემული თითოეულ ცენტრთან საკონტაქტო ინფორმაცია და დაკავშირებაც არაა რთული. დაინტერესებული პირები შეძლებენ, მეტი შეიტყონ ზრდასრულთა განათლების შესახებ, მის სიკეთეებზე ადამიანების ცხოვრებაში, კონკრეტულ მიღწევებსა და წარმატებებზე. დღეს, როცა უმუშევარია საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, როცა ადამიანებს დახმარება სჭირდებათ განათლებისა და პროფესიული უნარების მიღებაში, დასაქმებაში, უდიდესია არაფორმალური და ზრდასრულთა განათლების როლი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერ ასაკში მათთვის სასურველი თუ შრომით ბაზარზე მოთხოვნი პროფესიები აითვისონ, საჭირო უნარები გამოიმუშაონ, დასაქმდნენ და განვითარდნენ პროფესიულადაც და პიროვნულადაც. ამის საშუალებას სწორედ ის კურსები და ტრენინგები იძლევა, რომლებსაც ზრდასრულთა განათლების ცენტრები რეგიონებში სთავაზობენ მოსახლეობას.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როცა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა მთლიანად ელექტრონულ სივრცეზე გადაეწყო, ცენტრები ახლა ZOOM-ის პროგრამით მუშაობენ და შეუფერხებლად ახორციელებენ თითქმის ყველა დაგეგმილ კურსს. ტრენინგები, როგორც ადრე, ახლაც კარგი დასწრებითა და აქტივობით ტარდება და მიუხედავად იმისა, თუ როდემდე გაგრძელდება რეალობა, რომელშიც დღეს ვართ, სწავლის პროცესი არ შეწყდება.

Dvv.gaen.org.ge-ს შექმნის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ადამიანებს ამ შესაძლებლობის შესახებ მიანოდოს ინფორმაცია და სასურველ ორგანიზაციებს დააკავშიროს, რათა რაც შეიძლება მეტმა მსურველმა შეიტყოს საგანმანათლებლო კურსების ხელმისაწვდომობა და დღევანდელი რეალობის მიუხედავად, კვლავაც აქტიურად გააგრძელოს სწავლა და განვითარება.

რიტა ბაინდურაშვილი
ტაბულა, 18.12.2020

„კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომები“



13 დეკემბერს ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის წევრი ცენტრების ადმინისტრაციისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირების გადამზადების მიზნით, მხარდაჭერი ღონისძიებების ფარგლებში, ონლაინ ტრენინგი ჩატარდა თემაზე: „კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომები“.

ტრენინგზე დეტალურად განიხილეს შემდეგი ძირითადი თემები:




- კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება
- კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება

- შეფასების პროცესის დაგეგმვა
- შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შემუშავების პროცედურა

- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია
- შეფასების პროცესის განხორციელება
- შეფასების მტკიცებულებების მოპოვება
- შეფასების გაფორმება
- შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა

ტრენინგი, რომელსაც 30 მსმენელი ესწრებოდა, ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. მონაწილეებმა შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები პრაქტიკული მაგალითების სახით განიხილეს. თითოეულ მონაწილეს GAEN სერტიფიკატს გადასცემს.

ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრებში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელისთვის. ამიტომ ამ პროცესს GAEN მომავალ წელსაც გააგრძელებს და კვლავაც აქტიურად განახორციელებს შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებსა და აქტივობებს.



ჯადინისტრაციული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების შესაბამისად გადამზადდება

ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა მიმდინარე წელს წვერი ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესი წამოიწყო - ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება დაიწყო ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების შესაბამისად.

პირველ ეტაპზე, საპილოტე რეჟიმში, GAEN-ის ორი ცენტრი იყო ჩართული: ჩოხატაურის

8